ნიანგი 18

ISSN 0132-6015

1989





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲐᲛ თამაშს ჭვავის ყანასთან არაფერი ესაქმება. „ჭვავის ყანა“, სათაურად რომ სხვა ვერაფერი მოვიგონე, ამერიკელი მწერლის ჯერომ სელინჯერის რომანიდან ვისესხე, და თანაც, თავი ორი რამით გავიმხნევე: ჯერ ერთი თვითონ სელინჯერმა რობერტ ბერნსის ლექსიდან ისესხა, მეორეც, სათაური, მით უფრო იუმორისა, დიახაც ორაზროვანი უნდა იყოს.

გარშემო ყველაფერი თვალსა და ხელს შუა იცვლება: დამწყები პოეტი ლოვარდ ბურჯანაძე „ანტისაბჭოურ“ ლექსებს წერს, და იოტისოდენა შიშიც აღარ ეტყობა, ისე უკითხავს მისი გმირობით მოხიბლულ ქალიშვილებს. პროფკავშირის კრებაზე გამოსული ეუეუნა ზუკაკიშვილი ხმამაღლა იძლევა პირობას, რომ, თუ გათხოვებამ მოუწია, ხუთ შვილს შემატებს სამშობლოს. სამოცდაათი წლის გოგუცა ნაკაშიძე კოოპერატივის გახსნას აპირებს და სოკოს ღვეზელებით გამასპინძლებას გვპირდება, რომელიც არცთუ ძვირი დაგვიჯდება — თითო ღვეზელი მანეთი და ოცი კაპიკი... ბიბლიოთეკარი ლარისა გეწაძე დილიდან საღამომდე სტალინს ლანძღავს და „ოგონიოკს“ მარტო იმას აკითხებს, ვინც თანამოაზრედ მიიჩნია. პენსიონერმა დომენტი ტუშურმა სტალინის სურათი სოლოლაკელ ფოტოგრაფს გაადიდებინა და თავისი მაგიდის პირდაპირ ჩამოჰკიდა. მთარგმნელმა როზეტა ხუჭუამ თავის პირად ცხოვრებას რკინის ფარდა ჩამოაფარა, რადგან უკვე მის გასაგონადაც ლაპარაკობენ — მორალური სიწმინდისათვის ბრძოლა რომ გამოცხადდეს, როზეტა პირველი გაებმება მახეშიო. ოთხჯერ გათხოვილი მეგი ყუფარაძე ოჯახის სიმტკიცეზე კითხულობს ლექციებს. ქრთამისათვის ნაჯდომი კუკური შურღაია მექრთამეობას ებრძვის. უნიჭო პროფესორი ყარამან ყოჩიაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ყველა დისერტაცია, გარდა ერთისა, ანტიმეცნიერულია და გადახედვას საჭიროებს, იმ ერთში კი, ცხადია, საკუთარს გულისხმობს. კრიტიკოსი გიორგი კუკავა, რომლის წიგნებითაც მოიტანა სული ჩვენამდე „სოციალისტურმა რეალიზმმა“, დღეს ამ ერთადერთი სწორი შემოქმედებითი მეთოდის წინააღმდეგ ილაშქრებს. ტექნიკური განყოფილების ინსპექტორი ვალია ნიჟარაძე ტერორს აწყობს იმის მუქარით, რომ თუ არჩევნებამდე ბინას არ მიიღებს, ყველა თავის დაქალს დირექციის წინააღმდეგ დარაზმავს. გიორგი ნებიერიძე სულ გაგიჟდა და მართალი მარტო ის ჰგონია, რასაც თვითონ ამბობს. მეგარდერობე დეიდა სუსანა ხმამაღლა აცხადებს, რომ გარდაქმნას ვერ იწამებს, ვიდრე მაცივარში ხორცი არ ექნება. თენგიზ მახარაძემ ჟურნალი „ამერიკა“ უფრო გააძვირა და უკვე არალეგალურად კი არა, აშკარად ყიდის. ჟორა კაკაურიძემ სამჯერ ჩააგდო მონყალების ფონდის ყულაბაში ფული და ბრაზობს, რომ უმადურმა პრესამ ერთხელაც არ აღნიშნა.

მაგრამ დემოკრატიის ჭეშმარიტ ზეიმად მაინც ჩვენს დაწესებულებაში გამართული დირექტორის არჩევნები გადაიქცა. ერთი თვის მანძილზე მხოლოდ მომავალი არჩევნებით ვცხოვრობდით, მასზე ვლაპარაკობდით, მის გამო ვმეგობრდებოდით და მის გამო სამუდამოდ ვკარგავდით ერთმანეთს.

ჩვენი კოლექტივი დიდია, ერთმანეთს კარგადაც კი არ ვიცნობთ და თვით დირექციამაც არ იცის ვინ რას აკეთებს. ვიცით, რომ თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს ვიკვლევთ, მაგრამ მაინც რას წარმოადგენს ეს პრობლემები და როგორ წაადგება ჩვენი თუ არა, ჩვენი შვილების ცხოვრებას მაინც, ვერავინ აგიხსნით. კაცმა რომ თქვას, როგორც ყველგან, ისეა აქაც... კოლექტივში ძირითადად ქალები ჭარბობენ — ის მავანის ცოლია, ის კი მავანის რძალი. და კიდევ არის რამდენიმე შტრიხი, რომელთა უცოდინარობაც ჩვენს სოლიდურ დაწესებულებაში არავის ეპატიება. ვიცით, რომ დეიდა ფაციას გაკეთებულ ნიგვზიან ბადრიჯანს არაფერი შეედრება, ლოლა ფარცვანია საუცხოო ტორტებს აცხობს, თინა კოკოჩაშვილი ყავით არის განთქმული და მკითხაობს კიდეც... ერთი სიტყვით, ცნობილ მანდილოსანთა დახასიათება კულინარიის ფარგლებს იშვიათად სცილდება... თუმცა არის გამონაკლისები: მაგალითად,, ჟანა... რიტა... და თვით ლიკაც კი... თურმე...

აი, ყველაფერი, რაც ჩვენი, თუ არ ვცდები, ორასკაციანი კოლექტივის შესახებ უნდა იცოდეთ. მეტის ცოდნა არც არის საჭირო და არც ამ იუმორესკის ფარგლებში ჩაეტევა.

არჩევნებისათვის რომ სახე მიგვეცა, დარბაზის კარი აუცილებლად ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო. კარი კი არაფრით არ იკეტებოდა, პირიქით, ლაყლაყებდა და თითქოს გვემუქრებოდა. ძველი დირექტორი სამნეო ნანილის გამგეს გაუბრაზდა, ხუთი ნელია ამ კარზე გელაპარაკები და ვერ გაამაგრე, შენ რა კაცი ხარო. სამნეო ნაწილის გამგე სადღაც გაიქცა, ლურსმანი და ჩაქუჩი მოიტანა და ის იყო კარი უნდა მიელურსმა, რომ პირველი რიგიდან ნივილ-კივილით წამოხტა უფროსი მეცნიერ-მუშაკი აგრაფინა დალაქიშვილი, — ხომ არ გაგიჟდითო, უცებ რომ „პაჟარი“ მოხდეს, სად მიდიხართ, ლურსმანს ვეჯაჯგუროთ და გამოვიხრუკოთო? კარმაც თითქოს აგრაფინა დალაქიშვილს დაუჭირა მხარი, ლურსმანი ხვრელში არ ჩერდებოდა და ისევ ჭრიალით იღებოდა, თითქოს გარედან ვიღაცა აწვებაო.

თურმე არც უამისობა იყო. მაგრამ ამას დანვრილებით შეიტყობთ მერე, როცა ისეთი ამბები დატრიალდება, რასაც ჩვენი კრების რეგლამენტი წინასწარ ვერაფრით ვერ გაითვალისწინებდა.

დარბაზში თავდაპირველად სულგანაბულები ვისხედით. თუმცა, ვინც კარგად გვიცნობდა, თვალის ერთი გადავლებითაც მიხვდებოდა, რომ კოლექტივი ჯგუფებად დაყოფილიყო და ამ ჯგუფებს ერთმანეთისაგან მტკიცე სადემარკაციო ხაზი ყოფდა. მაგრამ იყვნენ მოსყიდული „ნეიტრალებიც“, რომლებიც ჯგუფებს შორის კეთილი ღიმილით დადიოდნენ, „საზოგადოებრივ აზრს“ სწავლობდნენ, ერთი ჯგუფის ამბავი მეორე ჯგუფთან მიჰქონდათ და ბოლოს პრეზიდიუმშიც, რომელიც უკვე ნელნელა, საკუთარი ღირსების მთელი შეგნებით იკავებდა სააქტო დარბაზის დიდ სცენას.

სწორედ ამით დაიწყო ყველაფერი.

ის იყო პრეზიდიუმი დალაგდა, რომ წინა რიგებიდან ხუთი შვილის მამა ბუხუტი ზარდიაშვილი წამოიჭრა და დაიძახა: პრეზიდიუმი ჯერ არ აგვირჩევია და ამ ხალხს სცენაზე რა უნდაო? ეს წამოძახება პრეზიდიუმში ხუმრობა ეგონათ და ბუხუტი ზარდიაშვილს ღიმილით გადმოსცქეროდნენ. დარბაზი უკვე თუხთუხებდა. ბუხუტი ზარდიაშვილი თავისაზე იდგა და ხალხს მოუწოდებდა, დავიძრათ და პრეზიდიუმი მტურმით ავილოთო. ამ მოწოდებას ჯერ მთარგმნელი როზეტა ხუჭუა მიჰყვა, მერე ქსენია დევიძე, მერე პოეტი ლოვარდ ბურჯანაძე და ის იყო, მთელი დარბაზი წამოიშალა, რათა პრეზიდიუმისაკენ გაჭრილიყო, რომ ისევ წამოხტა კივილით გოგუცა ნაკაშიძე და ხალხს გაახსენა, რომ ეს სცენა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ აიგო, შეიძლება ადვილად ჩანგრეულიყო და ცოდვა დატრიალებულიყო.

კრების თავმჯდომარე, ანუ ჩვენი დირექტორი, ღვთის წინაშე არ იყო უნიჭო კაცი. სიტუაციას ერთბაშად აუღო ალღო და მიხვდა, რომ ამ აღგზნებული აუდიტორიის წინაშე, თუ ნამდვილი დემოკრატია არ იქნებოდა, დემოკრატია მაინც უნდა გათამაშებულიყო და აუდიტორიას მოგვმართა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ყველამ იცით რისთვისაც შევიკრიბეთ, მე ვიქნები თუ სხვა, ბარემ ავირჩიოთ ეს ახალი დირექტორი და დავიშალოთ, ისედაც დღის ბოლოა და დაღლილები ვართო.

მაგრამ, თურმე, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა.

დაძაბულ სიჩუმეში კარმა ფრთხილად დაიჭრიალა და ღრიჭოში მღელვარებისაგან გაწითლებული ცხვირი გამოჩნდა.

ცხვირმა იგრძნო დამინახესო და როგორც გამოჩნდა, ისევე გაუჩინარდა. მერე, თითქოს მინა იძრაო, კარი ერთბაშად თავზე გადმოგვემხო და დამლაგებელი დეიდა ჟენია, თავისი გაცვეთილი ცოცხითა და ჭუჭყიანი ვედროთი, იატაკზე გაიშხლართა. ვინც კი კრებაზე კეთილი იყო, ყველა ერთნაირად წამოვარდა და დეიდა ჟენიას ეცა. დეიდა ჟენიას ცხვირი ისევ მთელი ჰქონდა და კრების თავმჯდომარემ მარტო ესღა წაილულღლუა:

— მონახეთ რაღა, საგორაო ადგილი.

მაგრამ დეიდა ჟენიას შესაცოდი რა სჭირდა? ერთბაშად თითი ზემოთ ასწია და იქუხა: ვიცი, კრებაზე რატომაც არ მომიწვიეთ, დამლაგებელს ადამიანად არა თვლით! მაგრამ წავიდა თქვენი დრო, ახლა ყველაფერს მასები ვწყვეტთო... ამის თქმაზე ჭუჭყიანი ვედრო ოთახის შუაგულში დაამხო, ზედ ჩამოჯდა და გაცვეთილი ცოცხიც ისე საეჭვოდ მოიმარჯვა, კრების მონაწილეებმა სული განაბეს.

თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, კარებთან ერთბაშად ჩოჩქოლი გაისმა და აღგზნებული საზოგადოება შემოიჭრა.

ეს ჟენია დეიდას მხარდამჭერი კომიტეტი იყო. და ამის გამო, ეტყობა, დადგა დრო დეიდა ჟენიას ბიოგრაფია ცოტა უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ:

დეიდა ჟენია დაიბადა 19... წლის აგვისტოში, სოფელ სასნოვკაში. განათლება — საშუალოდაუმთავრებელი. 19... წელს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ჩამოვიდა და იმდენად მოხიბლა ჩვენმა ზურმუხტმა მთებმა, რომ აქედან ფეხი აღარ მოუცვლია. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პატიოსნად გაატარა. ჰყავდა ლოთი ქმარი ფილიპ ლუკიჩი, რომელიც ცოლს ყოველი დათრობის შემდეგ სცემდა, თრობით კი ყოველდღე თვრებოდა და დეიდა ჟენია იძულებული გახდა გაჰყროდა. მეორე ქმარი ლოვა კოსტინენკოც ლოთი გამოდგა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ლოვას ახლა თვითონ დეიდა ჟენია სცემდა ცოცხით და ამ საქმეში თავის ცამეტი წლის ქალიშვილს სვეტლანასაც იშველიებდა. ბოლოს ლოვამ თქვენი ჭირი წაიღო და დეიდა ჟენიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ მის ცხოვრებაში კაცის სახსენებელი გაქრა.

სვეტა (ასე ეძახდნენ შინაურობაში) გაგრაში გაცნობილ ვიღაც მეზღვაურს გაჰყვა და სხვებს კი არა, თვითონაც დაავიწყდა, რომ დეიდა ჟენიას შვილი იყო.

საქმეში უაღრესად კეთილსინდისიერი დეიდა ჟენია ოც წელზე მეტია ჩვენს დაწესებულებაში მუშაობს. აქვს ჯილდოები — სიგელი და მედალი კავკასიის დაცვისათვის, თუმცა ფრონტზე არასოდეს ყოფილა და, ცხადია, არც კავკასია დაუცავს. ამ მედალს დეიდა ჟენია საზეიმო შეხვედრებზე და პარადებზე იკეთებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საჩივლელად მიდის, რადგან ომის ვეტერანთა მაღაზიაში აღრიცხვაზე არა და არ აიყვანეს, რის გამოც ყოველთვიურად კარგავს ერთ კილო გაყინულ ხორცს, ნახევარ კილო ყველს („ბრინზას"), ორას ორმოცდაათ გრამ წიწიბურას და შედედებულ რძეს, ხოლო საბჭოთა არმიის დღისათვის — ერთ ბოთლ პოლონურ ლუდს.

აი ყველაფერი, რაც ამ პერსონაჟის შესახებ უნდა ვიცოდეთ, მაგრამ აქვე დავსძინოთ, რომ ყოველი უბრალო პერსონაჟის ცხოვრებაში დგება დრო, როცა რაღაც მნიშვნელოვანი აუცილებლად უნდა მოხდეს და ისტორიამაც გმირად გაქციოს.

ამგვარი იყო დეიდა ჟენიას ცხოვრებაში 19... წლის სექტემბერი, უფრო ზუსტად კი ის წუთები, როცა იგი გადმომხობილი კარის წინ გაიშხლართა, ცოტა ხნის მერე კი დარბაზში მისი მხარდამჭერი კომიტეტი შემოიჭრა.

კომიტეტში შედიოდნენ დეიდა ჟენიას მეზობლები: სოკრატა ჩახოიანცი, კოლია ვაშაგაშვილი, პაჭიკო მანწკავა, ტუხო შაკიაშვილი, მამედ ჩალოევი და კიდევ ორიოდე მოხუცი და ჭაბუკი, რომელთა ვინაობაც, დიდი ხნის მერე, მილიციამაც ვერ დაადგინა. როცა „კომიტეტის" წევრები სკამებზე მედიდურად მოკალათდნენ, დირექტორმა ხალხს ერთხელაც გაახსენა, რომ დამდგარიყო დრო არჩევნების დაწყებისა, რაც, კაცმა რომ თქვას, აქამდეც უნდა დაწყებულიყო.

ამის თქმა იყო და მთელი დარბაზი წამოიშალა. ვინ ვის გვარს გაიძახოდა, ეშმაკიც ვერ გაიგებდა, წივილ-კივილში თავმჯდომარის ყურამდე არაფერი აღწევდა. ვინც უფრო ჯანზე იყო, სცენისაკენ გარბოდა, აქაოდა, ჩემი კანდიდატურა გავიყვანოო. პენსიონერ ვარლამ კავსაძეს გული წაუვიდა. ნიკუშა ტყემალაძე სცენაზე ავარდნას ლამობდა. მეხანძრე ავთო კრაწაშვილი დირექტორს გასძახოდა, როგორ მოვიქცეო. კოლია ვეშაპიძე სცენისაკენ გაიჭრა — თავმჯდომარე უნდა გავლახოო. ტატა არველაძე კიოდა — ყველა სიტყვა ოქმში შეიტანეთ, თორემ გადაგწვავთო. ვარლამ კახიანი სკამზე შედგა — იქნებ ვინმეს ხმა მივაწვდინოო, ჯიმშერ თურმანიძეს ათი კაცი იჭერდა — არ გინდა, ნუ იზამო, მაგრამ რა უნდა ექნა თურმანიძეს, ვერავინ მიხვდა. უჩა თვალჭრელიძემ სკამს დასტაცა ხელი და რატომღაც გარეთ გაიქცა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ამ რია-რიაში დიაბეტიკმა ტრიფონ მელაშვილმა ჯიბიდან ყველი და პური ამოიღო და მშვიდად დაიწყო ჭამა. გოგუცა კრაწაშვილი ტრიფონ მელაშვილისაკენ გამოენთო, ბუტერბროდი ხელიდან გამოსტაცა და გადაუგდო. ტრიფონ მელაშვილმა, თითქოს არაფერიც არ მოხდაო, მეორე ბუტერბროდი ამოიღო და მშვიდად განაგრძო ჭამა.

რა დააშშმინებს ამ აქაფებულ დარბაზსო, გაიფიქრა დირექტორმა და ბულალტერ შუქია ქარელიშვილს რაღაც ანიშნა.

ბულალტერმა დარბაზი გადაირბინა, სცენაზე აიჭრა და რამპის შუქით გაბრწყინებულმა გადმოიძახა:

— ხვალ კვარტალური პრემიები დარიგდება!

დარბაზში ერთი წამით მძაფრი სიჩუმე ჩამოდგა.

წამის მერე მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმა, რომელიც ოვაციაში გადაიზარდა.

კანდიდატთა დასახელება იმგვარ ექსტაზში შესულიყო, როცა სული მოვითქვით, მივხვდით, რომ უკლებლივ ყველანი დასახელებულნი ვიყავით. მაგრამ, გაუთვალისწინებელი რამ რომ არ გამოტყვრეს არ შეიძლება, ეტყობა მაინც ვიღაცა გამოგვრჩა და ამის გამო იყო, რომ ცულლუტმა აზრმა კატასავით—გადაიარა დარბაზი.

უცებ კოტე ცირეკიძე წამოხტა და სიტყვა ითხოვა. ახლა ეს სულ ჩაგვიშლის ყველაფერსო, გაიფიქრა დირექტორმა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერაფერი გაიგო. კოტე ცირეკიძე ანეკდოტებით იყო ცნობილი, დარბაზმა იუმორის სუნი ერთბაშად იყნოსა და ასევე ერთბაშად დაიძახა, მიეცით სიტყვა ჩვენს ძვირფას კოტესო.

ეს იყო და სიჩუმეც ჩამოდგა.

ამ სიჩუმეში ჩაიფრუტუნა კოტე ცირეკიძემ ის, რასაც მართლა არავინ ელოდა:

დირექტორობის კანდიდატად დეიდა ჟენია დაასახელა, რომელიც ისევ თავის სანაგვე ვედროზე იჯდა, გაცვეთილი ცოცხი გვერდით ედო და არხეინად მიირთმევდა მზესუმზირას.

დარბაზი ერთხმად ახარხარდა და ერთხმად დასცხო ტაში.

ღვთის წინაშე ვიღაცამ კი დაიძახა, ეს უკვე მეტისმეტიაო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა სხვებზე ნაკლები იყო დეიდა ჟენია. ის რომ არ ყოფილიყო, მთელი ამოდენა დაწესებულება ნაგავში ჩაიხრჩობოდა.

დეიდა ჟენია მაინც ვერაფერს მიხვდა და მზესუმზირას ამოსაღებად ისევ ჯიბეში მოიფათურა ხელი.

დარბაზს ეჭვი მოედო. ყველა მიხვდა, რომ ვერც ერთი კანდიდატის საქმე ვერ იყო კარგად... ამოდენა ხალხში ერთი კაციც ვერ მოიძებნებოდა, ვინმეზე რომ არა ყოფილიყო ნაწყენი. გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი დეიდა ჟენიას ჰქონდა, ყოველმხრივ სუფთა იყო, სუფთად ჰგვიდა ოთახებს და სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი ეფინა. აი, მაგალითად, ვახო ბუზიაშვილი, — ხელის ქორს ეძახდნენ, — სადღესასწაულო დღეებში კოლექტივს პოლონური ჯემებით, ჩეხური ლუდით და ბულგარული „პიკულით" ამარაგებდა, მაგრამ მთარგმნელ როზეტა ხუჭუას სწორედ ახლა გაახსენდა, რომ ვახომ შარშანწინ შვიდი ქილა ჯემის ნაცვლად სამი მისცა. ბუხუტი ზარდიაშვილს თვითონ უნდოდა დირექტორობა და, ცხადია, საკუთარი თავის გარდა ხმას არავის მისცემდა. ქსენია დევიძეს ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა, რომ ამირან ქვათაძის ნათესავმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტში „საცოდავი ბავშვებისათვის" საგზურები არ უშოვა. როზეტა კავსაძეს რა დაავიწყებდა, რომ მამუკა ღარიბაშვილმა მისი და მარინა კი არ შეირთო, მშობლიური სოფლიდან ჩამოიყვანა საცოლე, აქაო და პატიოსანი მაინც იქნებაო. დამწყები პოეტი ლოვარდ პურჯანაძე მთელ თავის ლიტერატურულ უიღბლობას რატომღაც ახლანდელ დირექტორს აბრალებდა. ეუეუნა კავთიაშვილი ბურჯანაძის რაიონიდან იყო და თავის ცხოვრებაში ვერ დაივიწყებდა, რა ხმები დაუყარა ჭორიკანა ბურჯანაძემ მშობლიურ სოფელში. 70 წლის გოგუცა ნაკაშიძემ სწორედ ორი თვის წინ სთხოვა ვახტანგ ქურთიშვილს „ნოშპა". ამ უკანასკნელმა კი ვირუღად შეაწყვეტინა — მე რა აფთიაქარი მნახეო. ლარისა გეწაძეს შარშან დედამთილი მოუკვდა და ლარისამ მშვენივრად დაინახა, რომ განსვენებულის კუბოსათვის ვახოს ერთხელაც არ შეუშველებია ხელი, ქელეხში კი სუფრის შუაგულში წამოჯდა და წვალებით ნაშოვნი „ცოცხალი" ორიოდე წუთში მოასუფთავა; თვით დირექტორი კი სამძიმარზე ერთხელაც არ მოსულა. ხუმარა კოტე ცირეკიძემ დეიდა ჟენია ხომ სწორედ

იმიტომ დაასახელა, რომ დირექტორმა, ამას წინათ, სისტემატური დაგვიანების გამო, კვარტალური პრემია არ მისცა და ამით თვითონვე მოიჭრა ის ტოტი, რომელზედაც იჯდა. და კაცმა რომ თქვას, ყველაზე უფრო ცუდად ახლანდელი დირექტორის საქმე იყო. იმათაც კი, ვისაც დირექტორი სულაც არ სძულდა, ერთი სული ჰქონდათ დაენახათ, რა ფერი დაედებოდა, როცა გაიგებდა, რომ ხმების „აბსოლუტური უმრავლესობა“ ვერ მიიღო და ამდენად თანამდებობის სკამიც რაღაც წუთნახევარში დაკარგა.

ხო, მართლა ვერ იყო კარგად საქმე...

ხმის დათვლის დროს ისეთი ამბავი მოხდა, რასაც ვერც ერთი ჩვენთაგანი წინასწარ ვერ წარმოიდგენდა. დიდი დავისა და ბრძოლის მერე, როგორც იყო დამთვლელი კომისია ავირჩიეთ (ნაცვლად ექვსისა ცხრამეტი კაცი), რომ უკანა რიგებიდან ჩვენი დაწესებულების ყველაზე უფრო ცნობილმა და საპატიო პიროვნებამ სიტყვა ითხოვა, იმაზე უფრო აჩქარებული კაცის ნაბიჯებით წამოვიდა, ვიდრე დარბაისელ კაცს შეშვენოდა, კათედრაზე ავიდა, ირგვლივ მყოფთ თვალი ეჭვიანად მოატარა და სამი მაგიური სიტყვა წარმოთქვა:

— ყუთში კარგად ჩაიხედეთ...

დარბაზი შეჩქვიფდა. ერთი ხანობა ვერც კი მივხვდით რას ნიშნავდა ეს სამი სიტყვა, მაგრამ როცა პირველმა დაბნეულობამ გაიარა, ყველას ოხვრა აღმოხდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ყუთი, რომელშიც ბიულეტენები უნდა ჩაგვეშვა, საკმაოდ დიდი იყო და ერთი კაცი თავისუფლად ჩაეტეოდა, ერთ კაცს კი, მოგეხსენებათ, ჩვენს დროში რამდენი რამის გაფუჭება შეუძლია.

„ვაითუ“... გავიფიქრეთ ერთხმად და მაინც ხარხარი დავიწყეთ.

თურმე რა გვახარხარებდა...

დარბაზში რამდენიმე კაცმა (ხმის დამთვლელი კომისიიდან) ის ყუთი კუბოსავით ციმციმ შემოიტანა, სახურავი ჩვენს თვალწინ ახადა და გადმოაბრუნა.

ყუთში ჭაჭანება არავინ იყო.

ჩვენ დავმშვიდდით და ყველაფერი იმ დარბაისელი კაცის ხუმრობად ჩავთვალეთ.

აზრად არავის მოგვსვლია, რომ დარბაისელი კაცები არასოდეს ხუმრობენ და იცოცხლეთ, ამგვარი წინდაუხედაობა ძვირადაც დაგვიჯდა.

ის იყო დავშოშმინდით, რომ ნანატრ სიჩუმეში ერთბაშად რაღაცამ იფეთქა და დარბაზი წყვდიადში გაეხვია.

ყველას ანტისაბჭოური დივერსია გვეგონა და წამოვიშალენით.

ზოგიერთები გასასვლელებისკენაც კი გაიქცნენ.

ერთმა მანდილოსანმა თურმე ყელიდან მარგალიტის მძივი ჩამოიწყვიტა და ჩანთაში ჩაიდო.

მაგრამ, საბედნიეროდ, ვიღაცამ დაიძახა, დამშვიდდით, ქსელი გადახურდაო.

ყველანი, რაკი მშვიდობიანად გადავრჩით, ჩვენ-ჩვენ ადგილებზე მოვკალათდით, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მაინც არ ვიცოდით, ის შუქშენიღბვა მართლა შემთხვევით მოხდა თუ ვიღაცების ჩაწყობილი დივერსია იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ რამდენიმე წუთს, ბიულეტენების ვეება ყუთი ყველას დაგვავიწყდა.

როცა სინათლე ისევ აინთო, თავმჯდომარე ადგა და გადმოგვძახა, დაწყნარდით ბოლოს და ბოლოს, აქ სამ დღეს ხომ არ ვიქნებით, დაწყდა ხალხი შიმშილით, დავიწყოთ კენჭისყრა და მოვრჩეთ საქმესო.

მართლა შიმშილით ხომ არ ამოვწყდებოდით, დავწყნარდით, და აღარავის ეგონა, რომ ის მშვიდად დაწყებული კენჭისყრა, როცა ყველას ღირსეულად გვეჭირა თავი, როცა ნელა, რიგში ჩამდგარნი, ისე მივიწევდით წინ, თითქოს დარბაზის ბოლოში მდგარი ჭირისუფლებისათვის სამძიმარი უნდა გვეთქვა, კვლავ რაიმე მოულოდნელი აქციით შეწყდებოდა.

ის იყო, საქმე ბოლომდე უნდა გასულიყო, რომ ერთბაშად რაღაც ფშვინვა მოისმა. ფშვინვას ხროტინი მოჰყვა, ყუთი შეინძრა და თითქოს ფეხი უნდა აიდგასო, ბარბაცი დაიწყო.

საბედნიეროდ, ქალბატონმა როზამ ყველას აჯობა, ერთბაშად მოისაზრა და ბოლო რიგში მჯდარ გაღიმებულ დაცვის უფროსს — პავლიკას დაუძახა, მოხედე ამ ყუთს, რა ხდებაო.

პავლიკას შიშისაგან ერთი ძარღვიც არ ატოკებია, მაშინვე წამოიჭრა, დარბაზი გადმოირბინა, რევოლვერის ცარიელ ბუდეზე ხელი იტაცა, ყუთთან მიიჭრა და სახურავი ახადა!

ყუთიდან თავი სამნეო ნაწილის გამგემ ოთარ ყიასაშვილმა ამოყო.

მთელი დარბაზი გაშრა.

მაგრამ ეს დუმილი ორიოდე წამზე მეტს არ გაგრძელებულა.

ხალხმა ერთბაშად იჭექა.

ბიულეტენებით დათოვლილი ოთო ყუთიდან ამოხტა და კარისკენ გაიქცა.

— მომყეთ! — დაიძახა ქალბატონმა როზამ და ოთოს ფეხდაფეხ მიჰყვა.

— ბიულეტენებს მოიპარავდა! — შეჰკივლა ნათელა ზუმბაძემ.

ბიულეტენებს თითქოს ფრთები გამოესხათ და ცაში მტრედებივით მიფრინავდნენ.

და როცა ოთოს ჯიბეები ამოვუსუფთავეთ, რაღაცა მაინც მოვინაკლისეთ.

მაშინ ბოლო რიგში მჯდარმა ბრძენმა დაიძახა:

— გადაყლაპული ექნება!

და ჩვენდა სამარცხვინოდ, ისე დავკარგეთ თავგზა, რომ ვიღაცა სამზარეულოსაკენ გაიქცა, რათა მებუფეტე ლიდა ივანოვნასათვის დანა წაერთმია და სასწრაფოდ მოეტანა.

რად გვინდოდა ის დანა, ახლაც არ ვიცი.

ის იყო, მთელი კოლექტივი ქუჩაში გავვარდებოდით, რომ ისევ პავლიკამ გვიხსნა, კარი ერთბაშად გადაკეტა და გასაღები წყნარად ჩაიდო ჯიბეში.

— აკი გითხარით, — სიჩუმეში გაისმა დარბაისელი კაცის ხმა.

ყველანი ჩუმად ვბრუნდებოდით დარბაზში და გულში ვამბობდით, რომ ჭკვიან კაცს აუცილებლად უნდა დაუჯერო.

მერე დავიწყეთ ბიულეტენების დათვლა...

თავი რომ არ შეგაწყინოთ და ისედაც გაჭიანურებული ამბავი უფრო მეტად არ გავაჭიანურო, ბარემ არჩევნების შედეგებზე მოგახსენებთ:

ყოველმა დასახელებულმა კანდიდატმა ერთი ხმა მიიღო.

ალბათ მიხვდებით, რომ ეს ხმაც ყველამ საკუთარ თავს მისცა. მაგრამ ამით სულაც არაფერი გვაკლდებოდა. მთავარი ის იყო, რომ ყველანი მხიარულად ვიყავით, დარბაზში ამაღლებული განწყობილება სუფევდა, დემოკრატიის მაცოცხლებელ სიოს ხარბად ვისუნთქავდით და ერთმანეთს პირში დავცინოდით.

მაშინ დეიდა ჟენია წამოდგა, აღტკინებულ კრებას თვალი მოავლო და „პრეზიდიუმისაკენ“ წავიდა.

სიცილი კვლავ არ ცხრებოდა.

დეიდა ჟენია მაუდგადაფარებულ მაგიდასთან მივიდა და აწ უკვე დამჭკნარი ყვავილები გვერდზე გასწია.

ყველამ სული გავნაბეთ. გვეგონა, მადლობას გადაუხდიდა ხელისუფლებას უბრალო ადამიანებზე ესოდენ დიდი ზრუნვისათვის.

ნაცვლად ამისა, დეიდა ჟენიამ ხმამაღლა თქვა:

— უნდა დაგავო!..

* * *

დავამთავრე იუმორესკა და რედაქციისაკენ გავაქანე, რედაქტორმა შუბლშეკრულმა წაიკითხა და ერთი ღიმილიც არ მოჰგვრია პირზე.

როცა ბოლო გვერდიც ჩაათავა, ამოიხვნეშა და თქვა:

— მე თქვენგან რომანტიულ მოთხრობას ველოდი... ეს რა მოიტანეთ? ცოტა ბულგაკოვია, ცოტა — ილფი და პეტროვი... ისე, კაცმა რომ თქვას, ჟვანეცკიც კი არ არი...

მაშინ მე რედაქტორს ხელნაწერი გამოვგლიჯე და მუქარით დავეშვი კიბეებზე.

წავედი, თავი მოვუყარე დეიდა ჟენიას, სოკრატა ჩახოიანცს, კოლია ვაშაგაშვილს, პაჭიკო მანწკავას, ტუხო შავიშვილს, მამედა ჩოლოევს, თავიანთ ცოლშვილიანად... დავურეკე ნაცნობებს, მეგობრებს და შტურმისათვის მოვემზადეთ.

სოკრატ ჩახოიანცმა საიდანღაც ტრანსპარანტიც გამოაძვრინა და ჩვენს თვალწინ დააწერა: „გაუმარჯოს მშობელ თბილისს!“

ყველანი სახტად დავრჩით!

რომელიღაც ჭკვიანმა ჩახოიანცს აუხსნა, რომ ჩვენი დემონსტრაცია მიზნად მხოლოდ ერთი ნიჭიერი იუმორისტის დაცვას ისახავდა და თბილისის მოქალაქეთა მეგობრობას სულაც არ ეძღვნებოდა...

ვინ მოგისმინა?

ჩახოიანცმა ტრანსპარანტი ცელივით აღმართა და წინ გაგვიძღვა.

გავა ცოტა ხანი და სწორედ ეს ტრანსპარანტი გადაგვარჩენს. პრესა ოფიციალურად აცნობებს მართალ სიტყვას დაწაფებულ მკითხველებს, რომ ის დემონსტრაცია, რომელზეც „უცხოეთის ხმები“ იტყობინებოდნენ, თითქოს ჯერ კიდევ მძლავრად ფეხმოკიდებულ „ტოტალურ რეჟიმს“ უპირისპირდებოდა, სინამდვილეში სხვა არა იყო რა, თუ არა თბილისის მოქალაქეთა მეგობრობის სადიდებელი სვლა ჟელიაბოვის ქუჩიდან ბამბის ჩიხამდე, და რომ ამას ადასტურებდა ტრანსპარანტი: „გაუმარჯოს მშობელ თბილისს“.

„დასავლეთის ხმებს“ ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!..

...მე კი, როგორც ხედავთ, ჩემი მაინც გავიტანე და ეს იუმორესკა გამოვაქვეყნე!

ᲙᲝᲕᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა



— რას არიგებენ?
— მე მგონია — იდეებს!

დიეტა

იუმორესკა

დავიწყებ ალბათ ხვალიდან
(ლექსსაც სჭირდება დიეტა!)
დავდებ კალამს და, ჰაიდა, —
სამუზეს გადავიკეტავ!

იტყვით: „ხმას განგებ ინაზებს,
თავს იკატუნებს, ფორსია!..“
ხელს ნუ კრავთ ქვემძიმე აზრებს,
თავში რომ სიმწრით მომსვლია!

შეგთხოვ, მკითხველო, ბარელამ
შენდობას!.. მტკივა თითები,
იცის გადაღლამ, დამერღვა
მიმოქცევანი რითმების.

აღარ მწვავს, აღარ ატროკდა,
ახალი დაჩნდა სამზერი,
თვალდახელშუა დამოკლდა
ჩემი სტრიქონის საუენი.

ხომ ვატყობ, უკვე მარგია,
მადა წერისა ნუმც მოვა,
დიეტა ყველა კარგია
(ვაღმერთებ მაინც ნულოვანს!)

ქაღალდს გავურბი, დილითვე
აღარ ავიშლი საღერღელს,
ხაჭოსებრ სტრიქონს მივირთმევ,
რეჟიმი რომ არ დამერღვეს.

მუზამ თუ წაიკრუტუნა,
ლაგამს ამოვდებ, ვიოკებ,
პოემა — ლექსი. პუტკუნა —
სიცოცხლეს აღარ მიმოკლებს.

კრიტიკაც ველარ მერევა
(კვერცხს არ ვდებ და არც ვკაკანებ!)
სხვა ბეჭდავს! ბეჭდოს, მერე რა, —
ტკბილეულს ტუჩს არ ვაკარებ.

მეტაფორაც ვერ აფრინდა, —
(რძეში შევზილე ის ცეტი!)
მითხარით, აბა, რად მინდა,
სხვისი რჩევა და რეცეპტი?!

უკვდავებასთან თამაში,
გახსოვთ, რარიგად მქანცავდა?
სიტყვა ჩავაგე ქარქაშში
და შურმაც ველარ დამცადა.

ნერვებიც მყოფნის, სიმტკიცეც
(უჩვეულოც და ჩვეულიც!)
არ გამოჩნდება, ვიფიცებ,
თაროზე ჩემი „რჩეული“!

მზვერავენ ნიჭით დატბორილს,
დგება საათი პიკისა,
რისკს არ ვწევ, მაგრამ ფაქტორი
მოქმედებს მაინც რისკისა!

რა ნახავს კალმის მორყევას,
წყალ-მარილს ბევრი იკისრებს,
დიეტურ სიცილს მოჰყვება,
უჩუმრად გადიკისკისებს!..

. . .

წყენას ავიქშევ, გავლალავ,
აბა, დავკარგო დრო რაზე?!
სტაჟი ხელს მიწყობს, გადავალ
მეც პერსონალურ... პროზაზე!

ზაზა კაციაშვილი

...ბაბუ ოფიციალურად ასი წლის წინათ

ფაკარული ცხენის მაძებარ მოხუცებულ იმერელს წინ გურული შემოვდგა. ფიცა არის და იმერელს, ძველებური ჩვეულებისაებრ, ულვაშები აკრული აქვს. იმერელი შესჩივლებს გურულს, ცხენი დამეკარგო.

გურული: დასტურ ჩრეი?

იმერელი: მართალს ვამბობ, ჩემი ძმაო, დავიფუძე კაცი!..

გურული: მაგი და, შე კაი კაცო, ულვაშები აგეშვა და ცხენი დაგეპა, იგი არ გერჩია?!

• • •

ქუთაისის ქალაქის ბაღში ერთი ხნიერი აზნაური ზის, რომელიც სოფლიდან ჩამოსულა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებზე დასასწრებლად. ამ დროს მას მოუახლოვდება ერთი ნაცნობი „სერთუკიანი“ ახალგაზრდა კაცი და საუბარს უმართავს. ცოტა ხნის შემდეგ ხნიერი აზნაური ჰკითხავს:

— თუ ძმა ხარ, მიეხარი, ჭის დასს (პარტიას) ეკუთვნი?

ახალგაზრდა კაცი წამოწითლდება და მიუგებს:

— არ მინდოდა, ღმერთმანი, გამეშილა, მაგრამ... რადგანაც თვითონ მკითხეთ... თუ ნებას მომეცემა... თქვენს უმცროს დასს... იმეფია, რომ...

— ჰაით, დამეკარგე იქით! ღმერთმა შენც შეგარცხვინოს, ვის დასსაც შენ ეკუთვნი და ვინც შენ და მოგეცეს!

„ᲥᲐᲚᲘ“

— რომ დაგინახავე, ჩემო მეგობარო, უნებურად მომაგონდება ერთი ფრიად გამოჩენილი მეცნიერი...

— ნეტა ვინ უნდა იყოს ეგ მეცნიერი?!..

— დარვინია, რომელიც ამმკიცეცს, ვითომც ადამიანი მაიმუნისაგან იყოს წარმომდგარი.

„ᲒᲝᲜᲘᲡ ᲨᲣᲠᲯᲔᲚᲘ“

— რას აკეთებ, პეტრე?

— გამოფენაზე სურათი ვიყიდე. არ ვიცი, როგორ დაკეიდო, თავი და ბოლო ვერ გავუგე!..

• • •

— ქალო, ნება მომეცით, გაგიცილოთ.

— ნუ სწუხართ, ამ ქუჩის კუთხესთან მიცდის თქვენი ძმისწული.

• • •

არტისტი (თეატრის ანგარებრენიორს): მომეცით ავანსი, თორემ შიშშილით კუჭი მიხმება.

ანგარებრენიორი: როგორ, გუშინ იმდენი ვაშლი და კვერცხი გესროდეს სცენაზე, ვერ აკმარეფდითი? ხომ გამოგადგებოდათ საჭმელად!

• • •

— აი, ნახე ჩემი ცოლის სურათი.

— უეჭველია, სწორადაა არის გადაღებული.

— რადა გგონიან?

— იმიტომ, რომ პირი მოკუმული აქვს.

• • •

— ბატონი შინ არის?

— არა, ბატონო, „გრანიცაში“ წაბრძანდა.

— პო, კარგი, მაშ უთხარი — სხვა დროს რომ მიგიიდეს, თავის თავი თან წაიღოს ხოლმე, თორემ ფანჯარაში დაკინახე.

• • •

ერთ აქტიორს ჰკითხეს:

— რამდენი ვერსი იქნება ტფილისიდან ქუთაისამდე?

— შვიდი დიდი ბუფეტია და რვა პატარა, — მიუგო მოკლედ არტისტმა.

„ᲘᲛᲔᲠᲘᲐ“

— როგორ მოგწონს დღეგანდელი პიესა?

— არა უჭირს-რა. მესამე მოქმედებაში ერთი სურათი ძლიერ მომეწონა.

— რომელი სურათი?

— აი, ისა: სცენა ტყეს წარმოადგენს, არტისტები პატარა ხნით სცენიდან გადიან და ტყე სულ ცარიელი რჩებაა..

• • •

ერთ მკურნალთან მოვარდა ერთი კაცი და შიშით შესჩივლა:

„ᲓᲐᲠᲘᲔᲑᲐ“

— ღამეკამაში რაღაცა მელანდება ხოლმე და მოსვენებას არ მაძლევსო!

— ღანდი ისა ხასიათ არის? — ჰკითხა მკურნალმა.

— ვირსა ჰგავს.

— მაშ, ნუ გეშინიან. შინ წადი და ღვინის ბეჭრს ხელარ დალევო, თქვენ მთურალი ბრძანებულხარო და საკუთარის ჩრდილისა შეგშინებიანთ!

• • •

ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲔᲚᲘᲡᲐ კაცმა, რეტად უნიჭომ, მაგრამ თავისი თავიც დიდად ნიჭიერად მოგტანმა, ერთხელ საზოგადოებაში დიდი თავმომწონეობითა თქვა:

— თუ მოგინდეს, ხოლმე როდისმე სისულელის თქმა, ბრძანელი მევე ვიცინი ჩემს სისულელეზედაო.

— რა ბედნიერი ყოფილხარო! — შენიშნა ერთმა იქ მყოფთაგანმა, — რა მხიარულად უნდა ატარებდე შენს ცხოვრებასს!..

• • •

— ეს რა რენტგენისებური შემწეარი მოგიტანიათ?

— როგორ რენტგენისებური, ბატონო?!

— ისე, რომ მარტო ძვალი ჩანს და ხორცს კი არსაფი ეხედავს!..

• • •

მოსამართლე: მონმეე, რამდენის წლისა ხარო?

მონმე ქალი: — ოცდაეცხრისა!

მოსამართლე: — ბალიან კარგი, მაგრამ გახსოვდეთ კი, ქალბატონო, რომ რასაც ამას იქით გეკითხეთ, პასუხად მხოლოდ მართალი უნდა მითხრათ!

• • •

ერთს პანია ბალაქში თერძი მიეიდა, საუკეთესო ქუჩაზე დასახლდა და ასეთი განცხადება გამოაკრა: „საუკეთესო თერძი ამა ქალაქისა“.

მეორე თერძმა ისა ახლო დაიჭირა დუქანი და თავის განცხადებას ნაანერა: „საუკეთესო თერძი მოელს ქვეყნისა“.



ცოტა ხნის შემდეგ მესამე თერძი მიეიდა იმ ქალაქში, პირველსა და მეორე თერძს შეა დაიჭირა დუქანი და შეფიქრიანდა — რა დაეანერო განცხადებასო?! იფიქრა, იფიქრა და ასე დაანერა: „საუკეთესო თერძი ამ ქუჩაზედაო“.

• • •

— ვასო, ძიას როგორ გაუუბედე და უთხარი, სულელი ხარო?!

— მამა, შენ თვითონ არ...

— გაიუბედი! მოიხადე ეხლავე ბოდიში!

— ძია, მაპატიე, რომ სულელი ხარ!

• • •

ᲫᲘᲐᲛᲐᲛ უთხრა ცოლს: — საკვირველია, შენი უმცროსი და სნორედ ზედ გამოჭერითა გგავს! შენსავით ლამაზ ტანადა და Ჭკვიანი, შენზედ ლამაზი და ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ არის, მაგრამ ბეკმეფის ვერ გათხოვდა.

— მაგის მიზეზი ის არის, ჩემო სულიკო, — უპასუხა ცოლმა, — რომ ჩემი და ᲫᲚᲔᲜᲐᲚ ფრთხილი ქალია და ყველა ოხერს არ მისთხოვდებაᲡ..

• • •

ᲔᲠᲗᲘ ᲥᲘᲖᲘᲧᲚᲔ ცხენით მოდიოდა და ცხენი დაუვარდა, რადგანაც მეტად მძიმე ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ ეკიდა. ᲥᲘᲖᲘᲧᲚᲔᲛᲐ მოსსნა ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ, თავად გადაიკიდა, შუჯდა ცხენზე და დაუწყო ცემა:

— აწუ, შე ვერანო, ეხლაც ხო შენ არა ᲮᲐᲠᲗᲐ Ე ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘᲡᲐᲡ..

• • •

ᲨᲕᲘᲚᲘ აᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ მამას ქალაქის მიდამოეზეს და დიდ გორაზე აიყვანა თავისი საკმაოდ სქელი მამა.

— შეხედე, მამაჩემო, რა კარგი სანახაობაა ქალაქი აქედან, რა კარგია იქ, ქვემოთ!..

მამა, რომელიც სუფლ ძლიეს იბრუნებდა დაღალულობით, გაუსწორა: — აე რაღაც ᲐᲮᲛᲐᲠᲘᲠᲘᲗ, თუ ᲫᲕᲔᲛᲝᲗ ᲡᲣᲛᲝᲗᲐ და არა ᲐᲥᲐᲛᲘ..

• • •

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ: ხომ აგიხსენით, რაც. არის გამორიცხვა. ᲫᲛᲔᲗᲐᲗ, ᲒᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲛᲔᲗᲘ ერთი აბაზი, ორი შაურისა ნახევარი ჩარექა ღვინო დალია. რამდენი დარჩება?

— ორი შაური.

— მაგ-მოქმედებას რა ეწოდება?

— გადაკეკრა!

• • •

— როგორ?! არაფსა სვამთ?! თქვენე არ ამბობდეთ, რომ რაც დიბინადებულხარ, არაფი არ დამილეკია, და ისე მოკვდები, „რიგ“ არაფს არ დალეკეო?!

— მართალსა ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ, მაგრამ ᲘᲡ ᲠᲐᲒᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲗᲥᲕᲐᲗ, რომ დაბადებასა და ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ შუა ხანშიც არ დალეკეგ-მეთქი?!.

• • •

— თუ ნისიას არ მომეცემთ, მოსამართლეს მივმართავ!

— არ გირჩევ, ტყუილად გაირჯები!

— ტყუილადაო?! რატომ ეგა?!

— ამიტომ, რომ ის ჩემს ვალს არ გადაგიხდის!

• • •

ᲫᲔᲓᲐᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ თავის პანია ქალიშვილს: — იცი, რა ᲐᲥᲕᲐᲗ შენს ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

— ვიცი — ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

— როგორ თუ ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— მამა კი ასე ეძახის და!

• • •

ᲛᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲑᲐᲐᲡᲚᲝᲑᲡ: — ჩემი აზრით, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲕᲔᲗᲔᲡᲘ ის არის, რომ ᲡᲐᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲡᲗᲮᲝᲑᲓᲔᲗ ᲥᲐᲚᲘ — ᲐᲥᲔᲐ ᲔᲠᲜᲘᲐ.

— რადა?

— იმიტომ, რომ იგი უკვე დაჩეკულია სხვის უფროსობასა და სხვისი ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲜᲓᲚᲐᲣᲜᲔᲠᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡᲐᲡ.

• • •

ᲤᲝᲡᲢᲐᲜᲘ: — რა გინდა, ძამიაᲐ? — შეეკითხა მოხეკე ერთ იმერელს.

— წერილი ხომ არაა მოსული ჩემი ბატონის გვარზე?

— რა გვარისაა შენი ბატონი?

— წერილზედვე ეწერება, მე რაღას მკითხავ?

• • •

— ვინ იყო, აი, ეხლა, „ᲕᲘᲠᲘ ᲮᲐᲠᲗ“, რომ გითხრა?

— არ ვიცი!.. უცნობია ვილაცა!..

— საკვირველია! აგრე ჩქარა როგორ გიცნო?!

• • •

— მოწყალეო ხელმწიფეეე, თქვენ მე სულელი მინოდეთ! გთხოვთ ბოდიში მოიხადოთ!

— ბოდიშს სიამოვნებით მოვიხდი, მაგრამ ამით დაკეკვიანდები?!

ᲐᲛᲝᲙᲠᲐᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲜᲘᲜᲝᲫᲘᲫᲔ

ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ Ჯ. ᲚᲘᲚᲣᲐᲡᲘ

ბეჭან ბოგია

(ქ. სამტრედია)

— ამ შუა ქალაქში წვიმის წყალში რომ დავმხრჩვალიყავი, სად უნდა გამოგეყო თავი?!

— რამ შეგაწუხათ, ბატონო?
— დაგვირეკეს, ფასებს ცეცხლი უკიდიაო!



— რა დაემართა მაგ ბუღას?
— ვერაა მთლად კარგად, ერთი თვეა იჯარით მუშაობს!

რეგნ კარიკატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორენოვნების პრობლემა

ჩემს ოთახში დაამყარეს
კოლოებმა დიქტატურა:
ერთნი „ვაშას“ იძახოდნენ,
მეორენი — რუსულ „ურას“!..

ჩამეძინა!... გასივებულს,
გადავხვიე ხელი ტურას,
ანუ ბალიშს... მეზმანება:
მონო...ქულ...ლიტერ...ა...ტურა!...

ნეორეალიზმი: საოჯახო პრობლემა № 1

დულს თათბირი. დიდხანს ვფიქრობთ:
სადღა უნდა დავდგათ რაგვი
ქონით, რათა დავიჭიროთ
სანოვაგის მტერი — თაგვი?!.

მე, მეუღლე და ამხ. თაგვი
მდგმურები ვართ ამ სანაგვის,
ამ სანაგვის: ვისთვის — ლხინის,
ლიპისა და ნაფტალინის!..

ცოდვილი სიტყვა
(ერთი ომის ისტორია)

იყო რა, ქარცი ტარაკანი და
სლავნი ეძახდნენ **პრუსაკს**!..
ფრიდრიხ მეორეს სწყინდა თავიდან,
წირავდა მხედარს, კუსაც!..



შემდეგ დაიწყო სასტიკი ომი,
ჩეხვის სასრული არ ჩანს!..
მთავარ მიზეზს კი ულვაში ლომის
შერჩა, ვით ჟღალი ფარჩა!..

ეკოლოგიური სინანული

ხეზე ყვავი ზის, ძვირფასო,
ანუ მოკალათებულა;
თუმცა ახლაც ძვირად ფასობს,
გადიქცევა ოქროს ფულად!..

ყვავზე ვამბობ, თორემ ჩიტი
საზღვარს გადაფრინდა, არც ჩანს!..
ჩიტი-გვრიტი-მარგალიტი
მხოლოდ სიმღერებში დარჩა!..

პროზაული ილუზიონიზმი

მამონის მსახურთ ქოშით, ხან დოშით,
რადგან უჭირავთ დროშა თუ ტარი,
ალბათ ჰგონიათ: სამივე დროში
„ჩაანყვეს საქმე“, რომ გლიჯონ ნარი

სხვათა ხელებით!.. ცაზე კი უფალს
სხვა გზა არა აქვს, თან ექავება
ენა!.. ფიქრობენ: აკურთხა სუფრა,
ოქროც უბოძა და უკვდავებაც!..

* * *

მათ აღაზევეს ბაკჰანალია,
ეზოპეს ენით აშენეს ხიდი!..
გზამ ჩაილურის წყალი დალია,
რწმენა აღზევანს მარილზე მიდის!..

სამჯერ გამრავლებული კაცის ცხოვრება

თეთრი ოქრო ბამბას ჰქვია,
მწვანე ოქრო — ჩაის,
შავი ოქრო — ქვანახშირს და...
იძირება, ვაი!..
ამ ოქროში, იმ ნაგავში
კაცისკაცისკაცი!..
ცხვრის ფარას კი წინ მიუძღვის
ეჟვნიანი ვაცი!..

დიდი, თანაც ხანგრძლივი უფულობისადმი მიძღვნილი ლექსი
(ავტოირონიული)

ერთადერთი, რასაც გული
არ სჭირდება, გახლავთ წვერი —
პოეტის და აღსასრულის
ცას აშავებს — მონასტერის
გუმბათივით, მაგრამ ფორმა,
რას უშველის შეშლილ დღეთა
წყებას? — წვერით ბარე ორმა
უკვე მიაშურა ლეთას!..

უფუნქციო მოხელის ლექსი

წყალში ცურავს ოქროს ვირი,
გზაზე მიდის კუზა თევზი,
მე მივფრინავ — ჯიბე კვნესის
თქვენგან „მოძღვნილ“ ჯამაგირით!..

უფლის შეცდომა და შენდობა

კაცს რომ სხვისი შიმშილიც კი
შეშურდება, რაღა გითხრათ?!.
ფერზე ვატყობ, — ზეციერმა
მოახმარა უხვად თიხა,
მაგრამ სული დაავიწყდა, —
მიწიერი ძერწა, გრიხა;
თუმცა ველარ გაუმართლა, —
აღარ გაიმეტა წრიხად!..

ხატვის გაკვეთილი: ციყვი — უტოპისტი

ხსოვნას ჰქონდა უფლებები,
გლეხს — თოხი და ცივი მჭადი,
ინტელიგენტს — უფულობა,
მუშას — „გეგმის წელიწადი“!..

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო:
ურო ჭედდა, ყანას მკიდა
ნამგალი... და ციდა ციყვი
ისევ ბორბლის ცას ეკიდა!..

ლექსი, რომლითაც ცილისმწამებელს კვლავ მივულოცავ დაბადების დღეს

მოსაპარავი რა მჭირს, თორემა
მეც მივმართავდი ამ თეორემას!..
თქვენ დაგიფაროთ იმავ სკორემა,
რასაც მიირთმევთ კოვზით,
ხან — ბარ-ნიჩაბით!.. თქვენი საქმეა:
რწყილს გადააქცევთ, მჯერა, აქლემად!..
ფარა არა მყავს, — რა მესარქლება,
როს ჰაერს ვყლაპავ დოზით?!.

ერთი შე...კრების შედეგი

თორმეტიდან ათი მყიდის —
დღევანდელი იუდა!..
— რატომ? — კაცუნები გახლავთ,
„დიდკაცობა“ კი უნდათ!..

მუხის მონოლოგი

ჩემი ჯვარცმული, ხან უდარდელი
ერის ჭირით თუ სიზმრებით ვცხოვრობ!..
როგორც მოკვდავი „ვინმე ქართველი“,
ვამბობ: **„დინგისთვის მადლობა, ღორო!“**

ის წევს, ღრუტუნებს კარგა ხანია,
თან რკოს მთხოვს — ვაძლევ, ხანაც —
ველარა!..

ოჰ, რა ძვირფასი ასატანია
ღორის ბეგარა!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

განცხადებები

თბილისის ავტომატურმა ტელეფონების სადგურმა გამოჰყო შოვის, უწერისა და სურამის სამსამი შეღავათიანი საგზური იმ განსაკუთრებით ნერვებმოშლილ აბონენტთა სამკურნალოდ, რომლებიც ყოველლამ, ძილში, სამჯერ და უფრო მეტად წამოიყვირებენ შემდეგ ფრაზებს: **„ნომერი შეგეშალა, დებილო!“ „ხვაგან მოხვდი, ჩერჩეტო!“, „არასწორად რეკავ, გოიმო!“, „ხმა ამოიღე, ნაგავო!“, „თქვი რამე, კრეტინო!“, „დამუნჯდი თუ რა?! შენი ყველაფერი!..“**

კოოპერატივმა „სუნამომ“, გაითვალისწინა რა მდიდარი გამოცდილება კოოპერატივ **„ჰორტენზიისა“** და კოოპერატივ **„იასამნისა“**, რომელნიც თავიანთ ფასიან ტუალეტებში მომხმარებლებს რიკარდო ფოლის, შარლ აზნავურისა და მაიკლ ჯექსონის სიმღერებს ასმენინებენ, გადაწყვიტა ყოველი კაბინის წინ დადგას პორტატული ვიდეოტელევიზორი. ახლო მომავალში განზრახულია ყველა კაბინის ტელეფონიზაცია.

ეწვიეთ კოოპერატივ „სუნამოს“ ფასიან ტუალეტებს! გარწმუნებთ, რომ ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით!

ბუნების დაცვის საზოგადოებასთან შეიქმნა წითურ ჭიანჭველათა დაცვის ნებაყოფლობითი ქვესაზოგადოება. მისი წევრი უნდა გახდეს სრულასაკოვანი ქალი და მამაკაცი, ყველა პენსიონერი, აგრეთვე ყველა ბავშვი, დაწყებული საბავშვო ბაღის ასაკიდან. პირველი შესატანია 1 (ერთი) მანეთი, ყოველწლიური აუცილებელი შესატანი — 50 (ორმოცდაათი) კაპიკი. ქვესაზოგადოების წევრს უფლება აქვს, აქტიურად იმონაწილეოს წითურ ჭიანჭველათა დაცვის ერთდღიურში, ერთკვირეულში, ერთთვიურში, ერთკვარტალურში, ერთწლიურსა და ერთათწლიურში!

ნუგზარ აფხაზავა

გონებაარეულის მონოლოგი

რაც ეს გარდაქმნა დაიწყო, კაცთა კაცთ უწყეს ღრენა,
ზოგი პირუტყვსაც კი ბაძავს, არის შეხლა და რქენა!..
ბევრს აერია გონება, ზოგმა დაკარგა რწმენა,
ზოგი ჭაობში ჩაეფლო, ზოგმა პასკვილი წერა!..
არის თათხვა და ძაგება, გვიტევს შურ-ღვარძლის ტალღა,
ლამის ზეცაც კი შეიძრეს, მიწა მოექცეს მალღა!..
ნიჰილისტი კი იცინის, დგას და უყურებს სეირს,
ფიქრობს და ვერ გაუგია, ვინ უფრო იმკის ხეირს —
დემაგოგი თუ ნამდვილი მხარის დამჭერი გარდაქმნის!
მედროვეც წელში გასწორდა, ჟამი დაუდგა ლაქლაქის.
მე ამერია დავთარი, აზრი, ჭკუა და გონება,
ველარ გაიგებ, ვის რა სურს, ხვალ-ზეგ რა მოეწონება.
ვინც ჩირგვში იჯდა ამ დღემდის, ახლა რაინდობს, ფხიანობს,
და ვინც არაფერს არა ქმნის, ყველაზე მეტად ხმიანობს.
ბრძოლა გაჩაღდა მკვდრებთანაც, მამას არ ინდობს შვილი,
გვამიც ააგდო მისი და მთელს ერს მიადგა ჩრდილი!..
ეს რა დრო დადგა, რა ჟამი, გაუფერულდა ლხენა,
მიწაზე ყოფნა არა ღირს, ნეტავ შემეძლოს ფრენა!

* * *

ამ წუწუნ-მოთქმას გარდაქმნა აინუნშიაც არ აგდებს,
ვითარც დევგმირი უდრეკი, ლაღად იკაფავს ახალ გზებს,
ძლევამოსილი დღეგრძელობს, ადიდებს თავის მასშტაბებს,
მოდუნების და რუტინის ულმობლად ამსხვრევს არტახებს!

ზალვა გულუა

ნახ. გ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. გ. პეტრიაშვილისა

— როდიდან დაიწყე ასე სუფთად სიარული?
— იმ დღიდან, რაც იჯარაზე გადამიყვანეს!

№ 574
3. X 1989

გვიშველით!..

1965 წლამდე, სანამ გალის ვარდნილჰესის მშენებლობა დაიწყებოდა, ჩვენს სოფელში 2300 კომლი ცხოვრობდა. შემდგომში კი სოფელი დაიტბორა და ორად გაიყო. 2000-ზე მეტი კომლი რაიონის სხვადასხვა რეგიონებში გადასახლდა. დანარჩენმა სამასმა კომლმა ვერ მიატოვა მშობლიური ადგილები და, თუმცა აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები აქვს, მედგრად იტანს შექმნილ სიძნელეებს: ბედის ანაბარად მიტოვებულ მოსახლეობას არ გააჩნია კლუბი, სკოლა და სხვა აუცილებელი დაწესებულებანი!.. თუ მანამდე რაიონის ცენტრამდე სოფლიდან სამი კილომეტრი იყო, ტერიტორიის დატბორვის შემდეგ გზა რვა კილომეტრამდე დაგრძელდა, ე. ი. ხუთი კილომეტრით გაიზარდა!.. მანძილის მომატება არ შეგვაწუხებდა, რომ გზის შეკეთება-კეთილმოწყობაზე ვინმეს ეზრუნა!..

ადრე, სანამ „ენგურჰესი“ ჩვენს ტერიტორიაზე მუშაობას დაიწყებდა, ყველაფერი გვქონდა: სკოლაც, კლუბიც, ტელეფონიცა და რადიოც!.. ახლა კი...

იცოცხლეთ, „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობამ დაპირებებით აგვავსო — ამასაც გაგიკეთებთ, იმასაც, თქვენს სოფელს ბაღნარად გადავაქცევთო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, საქმის სასარგებლოდ კი თითიც არავის გაუტოკებია!..

სამაგიეროდ **„ენგურჰესის“ მესვეურნი** ზემო რეჩხიდან გალამდე ასფალტ-ბეტონის გზას აკეთებენ! არა, ჩვენ იმის წინააღმდეგი როდი ვართ, რაიონში სასიკეთო რამ გაკეთდეს, მაგრამ ჰესმა, პირველ ყოვლისა, ჩვენ დაგვრია ხელი, როგორც იტყვიან, წყალში გადაგვყარა და პირველ რიგში მისი მიზეზით წამოჭრილი ჩვენი პრობლემები უნდა მოეგვარებინა, თორემ რა გამოდის — ისედაც მცირერიცხოვან სოფელს სასტიკი მიგრაციის საფრთხე ემუქრება!.. არადა, შემყურე სოფლელებს გული შეგვტკივა, არ გვინდა ჩვენი კერები ჩაიფერფლოს და ჩაქრეს!..

მიმდინარე წლის მარტში ჩვენთვის იმედის შუქურასავით გაიელვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ გალის აგროსამრეწველო-სამშენებლო გაერთიანება „ცხირის“ დაარსების შესახებ და ძალიან გაგვახარა, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ამ ფირმას შეუერთეს!

ღმერთი ააშენებს „ცხირის“ მმართველს — რუდიკ ცატავას, რომელიც მაშინვე შეუდგა სოფლის საკეთილდღეო საქმიანობაზე ზრუნვას. პირველი, რაც ფირმა **„ცხირმა“** გააკეთა ჩვენთვის, ეს გახლდათ გზის იმ კონდიციამდე შეკეთება, რომ ავტომანქანების მიმოსვლა აღსდგა. თუმცა დროებით, მაგრამ მაინც აღსდგა! ცხადია, ეს დიდებული ამბავია და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის! — საცა არ გვითესავს, იქ ვერ მოვიმკით! — ფირმა **„ცხირს“** ვერ მოვთხოვთ ერთბაშად გადაჭრას ყველა ჩვენი პრობლემა! ეს პრობლემები კი, სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, გალის რაიონის ხელმძღვანელობისა და „ენგურჰესის“ ადმინისტრაციის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე შედგა, ამ უკანასკნელს უნდა მოეგვარებინა.

ვიმეორებთ — დაპირება დაპირებად დარჩა და ჩვენთვის დღემდე ვერავინ მოიცალა!..

მოვითხოვთ, „ენგურჰესის“ კასკადის დირექციამ გაიღოს საჭირო თანხა ყოველივე იმის აღსადგენად, რაც გვქონდა და მისი მიზეზით დავკარგეთ!

საჭირო ობიექტების მშენებლობის განხორციელებას კი ფირმა **„ცხირი“** გვპირდება.

გალის რაიონის სოფელ ცხირის მცხოვრებთა დავალებით — ნოდარ ხუნდაძე.

მალე ჩვენთანაც გაიხსნება კანადის მაკდონელდის ფირმის რესტორნები თავისი განთქმული ბუტერბროდებით.

— ღვინო — ჩვენი, პური — თქვენი!

ТРОЛЬНЫ
ЕМПЛЯРЫ

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 18 (1796) [illegible] გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ზურაბ სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 21. 08. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 09. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1865 უე 04706. ტირაჟი 130100. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187